წერილის ნომერი:პ/24731557
თარიღი: 13/12/2024

ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 14

დ. ლენტეხი. 12.12. 2024 წ.

მიმდინარე წლის 12 დეკემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ;

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, წევრები- მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ქურასბედიანი, მარეხი ონიანი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი;

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხ. ლ. გუგავა/

მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მეორე ვარიანტი, 2025 წლის ბიუჯეტის პირველი ვარიანტი კომისიამ განიხილა ა/წლის 20 ნოემბერს და შენიშვნებით დაბრუნებული იქნა მუნიციპალიტეტის მერიაში. მერიის შესაბამისმა სამსახურმა ბიუჯეტის მეორე ვარიანტი მერიამ წარმოადგინა დაცული ვადებით. წარმოდგენილ პროექტში გადასახდელების ნაწილში დ. ღ. გადასახადი გაზრდილია 540.9 ათ. ლარით, შესაბამისად შემცირებულია მიწის რენტის გადასახადი 540.9 ათ ლარით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში საკრებულოს მიერ წარდგენილი შენიშვნები არ არის გათვალისწინებული . ამ საკითხთან დაკავშირებით საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა შეკითხვა დაუსვა საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ტ. ჩანქსელიანს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში საკრებულოს შენიშვნების არ გათვალისწინების თაობაზე.

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა პასუხად აღნიშნა, რომ 2025წლის ბიუჯეტის პროექტის ბოლო ვარიანტი წარმოდგენილი იქნება უმოკლეს ვადაში დასამტკიცებლად და გათვალისწინებული იქნება საკრებულოს ყველა შენიშვნა.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა სხდომაზე იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი გატანილი იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის სხდომა დასრულდა 14 საათზე.

ლამზირა გუგავა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბუჯეტო კომისია-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე